**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

...თის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ...ქვლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ამ ნომერში ათი გვერდია

## დედა-ენა

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ახალი მეცხრე გამოცემა დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნის ტექსტი შეუცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ თავში ჩართული აქვს სახატავი სურათები და ბოლოში ოთხი გვერდი საწერი დედანი მსხვილისა და შუათანა ხელისა, ასე რომ ამ წიგნის ხმარების დროს მოსწავლეს ცალკე დედანი აღარ დასჭირდება. ფასი უწინდელია—ექვსი შაური. ვინც იყიდის 30 ცალს ერთბაშად ნაღდს ფულზედ, წიგნი დაეთმობა უყდოდ 25 კ. და ყდით 33 კ.

შემდეგი გამოცემისათვის უკვე შეკვეთილია საწერი დედანი წვრილის ხელისა და ნუსხურისა. 10—5

### დოქტორი ს. ვაწაძე

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—11)

### მიხ. ალ.-ძე ნასიძე

იყვანს კვლავინდებურად ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლის პირველ კლასებისათვის მოსამზადებლად.

ადრესი: ვარანცოვის ვიწრო ქუჩა, ძეგლის პირდაპირ, სახლი ზომერისა, № 5. (10—1)


### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 7 ნოემბერს მიიყვანეს 1 ხოლერიანი ავადმყოფი, ბარბარე ჩონადირი (3 ნაწ., ვანქის ქუჩა, სახლი ბეგლიაროვისა, № 8)

ტფილისის სამხედრო სამკურნალოში 7 ნოემბერს ავად იყო 1. გარდაიცვალა ყუბის ქვეითა ჯარის კაცი ივანე პლოტნიკოვი.

## ახალი ამბავი

*** შაბათს, 7 ნოემბერს, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მიტროპოლიტის პალლადის პატივსაცემლად სამღვდელოების მიერ გამართულ სადილის დროს წარჩინებულმა მღვდლებმა სიტყვები წარმოსთქვეს და აღნიშნეს საყვარელის მწყემს-მთავრის მოღვაწეობა კავკასიაში. სხვათა შორის, მიტროპოლიტის პალლადის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სიტყვამ დეკანოზის ხელიძისამ, რომელმაც განაცხადა, რომ სრულიად რუსეთის სინოდი, რომელსაც ხელთ აქვს დედამიწის ზურგზედ ყველაზედ დიდის სამართლ-მადიდებლო სამწყსოს მართვა და გამგეობა და რომლის მეთაურადაც იქნება ყოველ მხრივ გამოცდილი და სიყვარულით აღსავსე მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პალლადი, ამიერიდგან უფრო დიდს ყურადღებას მიაქცევს და გულდადებით მოეკიდება ყოველსავე საჭიროებას რუსეთის სამწყსოთა შორის ყველაზედ უუძველესის სამწყოისას, საქართველოს ეკკლესიისასო.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა „მწყემსის“ რედაქტორმა, დეკანოზმა ღამბაშიძემ და, სხვათა შორის, განაცხადა:

„ვრცელს იმპერიას რუსეთისას ბევრი განაპირა ქვეყანა უპყრია, მაგრამ ყველას შორის უფრო განსაკუთრებული ქვეყანაა საქართველო. ვინც იგი გაიცნო ჭეშმარიტად და გულწრფელად შეიყვარა, იმან არ შეიძლება არა სთქვას, რომ იგია რუსეთის მეფის გვირგვინის ერთი საუკეთესო მარგალიტთაგანი. საქართველო არასოდეს არ დაივიწყებს, რომ ეს ღირსება თქვენ აღიარეთ მისი, როდესაც მათის იმპერატორებითის უდიდებულესობათა წინაშე სიონის ტაძრის წინ ხმა-მაღლად განაცხადეთ, რომ საქართველო, ეს ქველობითა და სიმტკიცით ქებული ქვეყანაა, რუსეთის მეფის გვირგვინის ძვირფასი მარგალიტია და ერთი საუკეთესო ნაწილთაგანი რუსეთის უსაზღვრო სამეფოისაო. დიაღ, ვიდრე საქართველო საქართველოდ დარჩება, იგი ყოველთვის იქნება ძვირფასი მარგალიტი მეფის გვირგვინისა და საუკეთესო ნაწილთაგანი რუსეთის უსაზღვრო სამეფოისა.

„ჩვენ, ყველა აქ მყოფთ, არ დაგვიკარგავს სასოება, რომ საქართველოსთან განშორება არ შესცვლის, არა შეასუსტებს ამ დადებულს აზრს თქვენსას მის შესახებ და ჩვეულებრივვე ყოველთვის შეუძლიან იქონიოს იმედი თქვენის მფარველობისა და მამობრივის ზრუნველობისა.

„ჭეშმარიტად საგრძნობელია განშორება თქვენი, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ. საგრძნობელია იგი მთელის ამა ქვეყნისათვის, საგრძნობელია სამწყსოისა თქვენისათვის, საგრძნობელია თქვენის თანამოსამსახურეთათვის, განსაკუთრებით საგრძნობელია ზოგიერთთათვის, რომელნი თქვენთან დაახლოვებულნი იყვნენ, ხოლო ძნელად თუ ვისთვისმე იყოს ისე საგრძნობელი, როგორც ჩემთვისაა. ჩემთვის კერძოდ, პირადად-კი არა, არამედ იმ საქმისა გამო, რომელსაც აგერ უკვე ათი წელიწადია, რაც ვემსახურები. მე ვამბობ ჟურნალის ბეჭდვის საქმისა!. თქვენი განსაკუთრებული ყურადღება ჩვენდამიმართ და ზნეობრივი დახმარება ...ოველთვის გვაძლევდა ძალასა და მხნეობას, რომ გვეძლია ყოველივე დაბრკოლება და თამამად გამოგვეღო თავი სიმართლისა, პატივისა, სარწმუნოებისა და ქრისტეანობრივ ზნეობისათვის“.

*** ტფილისის კეთილ-შობილ ქალთ მისს მეუფებას, ს.-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტს პალლადის გამოთხოვების დროს მიართვეს ძვირფასი სუფრა, ფერადის აბრეშუმის ძაფით ნაკერი.

*** გუშინ, 10 ნოემბერს, დილის $6^1/_2$ საათზედ, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი პალლადი კავკავის გზით გაემგზავრა პეტერბურგს. გააცილეს მცხეთამდე: იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა, სოხუმის ეპისკოპოსმა აგაფოდორმა და ალავერდისამ ბესარიონმა. ხოლო კავკავამდე მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას გააცილებენ: სასინოდო კანტორის წევრი არქიმანდრიტი მ. ნიკოლოზი, ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მ. ისიდორე და დეკანოზი ელიაშვილი.

*** ჩვენ სხვა-და-სხვა ადგილიდგან გვთხოვენ შევატყობინოთ, შეუძლიანთ თუ არა მსურველთ ამას იქით ჩაეწერნენ სახლების აშენების ამხანაგობის წევრებად. პასუხად ამისა ვაცხადებთ, რომ ამხანაგობა დაარსდა ამ მოკლე ხანში, მისი წარმატება სრულიად დამოკიდებულია წევრთა რაოდენობაზედ. რამდენიც მომეტებული წევრი მისცემს მხარს ხსენებულს ამხანაგობას, მით მისი საქმე უკეთესად წავა. ხელშეკრულობის ძალით, ყველას და ყოველთვის შეუძლიან ჩაეწეროს ამხანაგობის წევრად, მხოლოდ ამისათვის საჭიროა ფულის შემოტანა თხოვნასთან ერთად. თხოვნა და ფული შეიძლება ფოსტითაც გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: მის ბრწყინვალებას, თავად ვლადიმერ სიმონის ძეს მიქელაძეს, მმართველს საურთიერთო დამხმარებელის ამხანაგობისას. ტფილისი, განოვის ქუჩა, № 7. თხოვნა უნდა დაიწეროს ამ გვარად: კანტორას საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობისას (სახელი, მამის სახელი და გვარი მთხოვნელისა) თხოვნა. გთხოვთ შუამდგომლობა გამიწიოთ, რომ მიღებულ ვიქმნა წევრად „საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობისა. ამასთანავე შემომაქვს.... ფული“ (მთხოვნელის ადრესი). ფული უნდა წარმოიგზავნოს თხოვნასთან არა ნაკლებ ერთის თუმნისა, ხოლო ვისაც შეუძლიან, უფლება აქვს გამოგზავნოს მეტიც, ვიდრე ათ თუმნამდე. ვინც მხოლოდ თუმანს გამოჰგზავნის, იგი მოვალეა ყოველ თთვე შემოიტანოს სამ-სამი მანეთი მაინც, ან ორ თთვეში ერთხელ ექვს-ექვსი მანეთი, ვიდრე შეასრულებდეს ათ თუმანს, რაიცა შეადგენს ერთს საწევრო პაის.

*** კვირას, 15 ნოემბერს, დანიშნულია კრება სახლების აშენების ამხანაგობისა. როგორც შევიტყეთ, კრებაზედ შეუძლიანთ დაესწრნენ მხოლოდ ისინი, ვინც უკვე ჩარიცხულ არიან ამხანაგობის წევრად, ან ვინც განაცხადებს, რომ ჰსურს წევრობა და შემოიტანს არა ნაკლებ ერთის თუმნისა. არა წევრნი-კი კრებას ვერ დაესწრებიან.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ პარასკევს, 20 ნოემბერს, კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ორბელიანის მოთავეობით გამართული იქნება ტფილისის სობრანიაში კონცერტი მომავალ ქართველ დედათა სკოლის სასარგებლოდ.

*** ორშაბათს, 9 ნოემბერს, სოფ. ბოლნისის დუქანს დაეცნენ შეიარაღებული ავაზაკები. ამ დროს დუქანში იყვნენ თიონეთის მცხოვრები გაბო შავერდაშვილი და ტფილისის მცხოვრები მიხეილ პეტრიაშვილი. ავაზაკებმა მძიმედ დასჭრეს გაბო შავერდაშვილი და შემდეგ ვერცხლის ქამარი მოხსნეს, მერე პეტრიაშვილსაც წაართვეს ფული და ვერცხლის ქამარი და შემდეგ დუქნის დახლი გასტეხეს და რაც ფული იყო, სულ წაიღეს. დაჭრილი შავერდაშვილი ტფილისის სამკურნალოში ჩამოიყვანეს. ავაზაკებს დაეძებენ.

*** ქარელი (გორის მაზრა): ამას წინად თქვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ სოფელს ქარელში 53 ავადმყოფია ყვავილით და მათ შორის რვა სული უკვე გარდაიცვალაო. ეს ამბავი სრულიად მოკლებულია სიმართლეს: ქარელში არც ყვავილი ყოფილა და არც არავინ გარდაცვლილა ყვავილით. ამას წინად ციებ-ცხელება იყო და ისიც გაჰქრა. ამ ჟამად ჩვენს სოფელში სრული მშვიდობიანობაა.

*** ქუთაისი: აგერ რამდენი ხანია, აქაურები ტყუილ-უბრალოდ მოველოდდით ქუთაისში რეალურ სასწავლებლის დაარსებას. დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ, როგორც ნამდვილად გავიგეთ, თვით მისს ბრწყინვალებას ქუთაისის გუბერნატორს თავს უდვია მისცეს მტკიცე მსვლელობა ამ საქმეს. მისს ბრწყინვალებას, შემდეგ თავისდა რწმუნებულ გუბერნიის საფუძვლიანად და სავსებით შესწავლისა და მისთა საჭიროებათა გამორკვევისა, ცხადად დაუნახავს უნუგეშო მდგომარეობა იმ მრავლისაგან უმრავლეს მშობელთა, რომელთ შვილებს არც ღონე და არც მოწოდება აქვთ კლასიკურის განათლების შეძენისა. მისს ბრწყინვალებას მიუქცევია ყურადღება იმ ყრმათათვის, რომელთ მხსნელი იქნებოდა რეალური სასწავლებელი. მართლაც საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთელს გუბერნიაში, სადაც რამდენიმე კლასიკური სასწავლებელია, რეალურის ხსენებაც არ არის. აი ამ მიზეზით თვით ბ-ნ გუბერნატორს უტვირთნია უმაღლესის მთავრობის წინაშე შესაფერი შუამდგომლობა გასწიოს რეალურის სასწავლებლის დაარსებისათვის. რეალურ სასწავლებლად, მთავრობის აზრით, უნდა გადაკეთდეს დღევანდელი პროგიმნაზია ქუთაისისა.

ამ სასიამოვნო ამბავს უნდა დავსძინო შემდეგი დამაფიქრებელი გარემოებაც. ნამდვილ წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ, თუ ცოტაოდენი დახმარებაც არ მივაწვდინეთ მთავრობას, ხაზინა მთელს ხარჯს ვერ იტვირთებს და ან საქმე არ განხორციელდება და ან, ვინიცობაა როგორმე განხორციელდა, განხორციელდება არა ისე სასიამოვნოდ ჩვენდა, როგორც პირველ შემთხვევაში. დახმარება-კი ჩვენის მხრით ყოველ წლივ 6,000 მანეთისაა. სამი ათასის მანეთის შემწეობა უკვე აღთქმული აქვს მოავალ რეალურ სასწავლებელს სათავად-აზნაურო ბანკის მიერ. მაშასადამე რჩება საზრუნი სამი ათასი მანეთი. ამ 3,000 მანეთის შემწეობის აღმოჩენა დასჭირდებათ მთელის გუბერნიის მცხოვრებთ, უკეთუ ინებებენ და მხარს მისცემენ ბ-ნ გუბერნატორის მიერ დაწყებულს ფრიად სასარგებლო საქმეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც თავად-აზნაურობა, ისე ქალაქის თვით-მმართველობა იღონებს რასმე და სამი ათასის მანეთისათვის ასეთს კეთილს საქმეს არ ჩაჰფუშავს.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): 2 ნოემბერს, ღამე, სოფ. ხუმელაგაში მცხოვრების გაბო აზიევის წისქვილს ძრიელ ბევრი საფქვავი მიაწყდა. ეს მომეტებული საფქვავი ერთმანეთზედ დააწყეს გროვა-გროვად, ამოდენა საფქვავის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო წისქვილმა და ჩაინგრა. საფქვავი და ხალხი წყალში ჩაცვივდა. ხორბალი ბევრი დაიღუპა წყალში და ორი კაცი მძიმედ დაშავდა.

*** კავკავი: კავკავში ყველაფრის სიძვირეა ამ ჟამად და მომეტებულად-კი თივისა. წინად რომ ურემი მანათ-ნახევარი-ორი მანეთი ჰღირდა, ეხლა ხუთი-ექვსი მანეთი ღირს. მიზეზი ამ სიძვირისა ის არის, რომ საქონლის ჭირის გამოისობით კარანტინია შეკრული და ხარებით არსაიდგან აღარაფერს აზიდვინებენ.

*** მოსკოვის გაზეთები იუწყებიან: 1 ნოემბერს, ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზედ, მოსკოვში გარდაიცვალა (ჭლექით) მოსკოვის სამხედრო ოლქის მთავარ-სარდლის ადიუტანტი გრაფი ს. ი. ტატიშჩევი, კავკასიის მთავარ-მართებლის შვილი.

⁂ გაზეთი „Т. Л.“ იუწყება, რომ კახეთისა და ევლახ-შუშას რკინის გზის შტოს გამართვა უკისრნიათ პ. ა. ოპოჩინინსა და ბელგიის ვიცე-კონსულს ტფილისში ვ. ი. მელვინოვს. ოპოჩინინსა და მელვინოვს თავისი პირობანი უკვე წარუდგენიათ გზათა სამინისტროსათვის განსახილველად.

⁂ ბათუმიდგან დეპეშით სწერენ გაზ. „Н. О.“-ს: ხოლერით ავადმყოფი ქალაქის ექიმი შეფფერი 8 ნოემბერს გარდაიცვალა. ეს მეორე დღეა ქალაქში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

⁂ სომხების სათეატრო კომიტეტს, „Н. О.“-ს სიტყვით, თანდათან აკლდება წევრები. წინად 9 წევრი იყო კომიტეტში, ექვსმა ამას წინად დაანება თავი კომიტეტს, დარჩა სამი წევრი და ახლა ამ სამ წევრთა შორის ერთსაც, გვარად ბ-ნ ტერ-ნიკოლოსოვს, უარი უთქვამს კომიტეტის წევრობაზედ, ასე რომ ამ ჟამად სომეხთა დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს ორი კაცი განაგებს.

⁂ სომხური გაზეთი „ფუნჯი“, რომელიც სტამბოლში იბეჭდებოდა, სტამბოლის გაზეთების სიტყვით, ოსმალეთის მთავრობას სრულიად აუკრძალავს.

⁂ 9 ნოემბერს გრიბოედოვის ქუჩაზედ პოლკოვნიკის ბრევერის სახლის სარდაფში იპოვნეს სამის დღის დაბადებულის უსულო ბავშვის გვამი.

---

## ქალაქის საბჭო

ორშაბათი, 9 ნოემბერი.

კრებამ განიხილა მოხსენება გამგეობისა, რომ მთავრობამ უფლება მისცეს ქალაქის ხარჯის აღებისა რკინის გზით მოტანილ და გატანილ საქონელზე. უმთავრესი საბუთები ამ მოხსენებისა ის არის, რომ ქალაქის ხარჯმა იმატა მას შემდეგ, რაც სადგური რკინის გზისა ძრიელ დაშორებით იქმნა აშენებული ქალაქის შუა ადგილებიდგან, რის გამოც საჭირო შეიქმნა მრავალის გრძელის ქუჩების დაფენა, არხების გაყვანა, განათება და სხვა მრავალი ხარჯი. ეს გზები და ქუჩები ისე საჭირო არავისთვის არის, როგორც ვაჭრებისათვის და საზოგადოდ აღებ-მიცემობის განსაძლიერებლად. ამას წინად მეორე სადგური გააკეთა რკინის გზამ და თუმცა ქალაქის თვით-მმართველობა სთხოვდა ამ სადგურის გაკეთებას ავჭალაში, იგი ააშენეს კვლავ მოშორებით, ნავთლუღის განაპირებულ ნაწილში. მაშასადამე, ქალაქს კვლავ წინ უდგა ახალი და კარგი დიდი ხარჯიც გზების გასაკეთებლად, მიყრუებულ ალაგების გასანათებლად და სხვანი. ამ სადგურის უმთავრესი დანიშნულება არის საქონლის მიღება და მოტანილ საქონლის დაწყობა, ე. ი. კვლავ აღებ-მიცემობისათვის ზრუნვა. თუმცა ამ სახით ქალაქის ხარჯი მატულობს, რათა ხელი შეუწყოს ვაჭრობას, მაგრამ მიუხედავად ამისა აღებ-მიცემობა შედარებით ძრიელ მცირე მ ინაწილეობას იღებს ქალაქის შემოსავლის გასაძლიერებლად. სახლის პატრონების გადასახ დი ყოველ წლივ იზრდება, მატულობს და აძლიერებს ქალაქის კასსას, ვაჭრობის გადასახადი-კი, მომატების მაგიერ, კიდეცა კლებულობს. ყველა ამ მოსაზრების გამო თვით სამართლიანობა მოითხოვს, რომ ის ხარჯი მაინც დაედოს აღებ-მიცემობას, რომელსაც უმთავრესად ვაჭრობისთვის იხდიდა აქამომდე ქალაქი და უნდა კიდევ გადაიხადოს, რომ ნავთლუღის სადგურს მისავალი გზები და მიდამონი წესიერებაში მოიყვანოს და ამასთანავე დაამთავროს გასამშვენებელი სამუშაონი სადგურის ქუჩებისა. ამისათვის საჭიროა დაწესდეს რამ ხარჯი მოტანილსა და გატანილს საქონელზედ ფუთობის მიხედვით. ამასთან ეს ხარჯი ისე უნდა გაეწეროს, რომ ძვირს საქონელზედ მომეტებული დაედოს, ხოლო იეფ საქონელზედ—ნაკლები. ძვირმა საქონელმა უნდა იხადოს ფუთზედ არა უმეტეს ნახევარ კაპეიკისა, ხოლო სულ იაფმა საქონელმა ერთი მეთორმეტედი ნაწილი კაპეიკისა. ასე, ხარჯი უნდა ავარაუდონ მეთორმეტედ ნაწილიდგან ნახევარ კაპეიკამდე ფასის საქონლის კვალობაზედ. ზოგი სამეურნეო საქონელი-კი სრულებით განთავისუფლებულ უნდა იქმნას ამ ხარჯისაგან. გამგეობას შეუკრებია ცნობანი იმისი, თუ წელიწადში რკინის გზით რამდენი ფუთი და რა საქონელი მოაქვთ ტფილისში და რამდენი გააქვთ აქედგან. რაოდენობა მოტანილისა და გატანილის საქონლისა აღირიცხება თითქმის ათ მილიონ ფუთამდე. ყველა საქონელზედ რომ ნახევარ კაპეიკი დაწესებულიყო, ხარჯი ავიდოდა ხუთი ათას თუმნამდე, მაგრამ რაკი ფასების კვალობაზედ დაწესდება ხარჯი, მისი შემოსავალი დაიჭერს 25—30 ათასს მანეთს.

საბჭომ შეიწყნარა ეს მოხსენება და დაადგინა, რომ სათანადო ქაღალდი მიართვას ქალაქის მოურავმა უმაღლესს მთავრობას და სთხოვოს ამ ხარჯის დაწესება ტფილისში. რადგან ხმოსანთა რიცხვმა თანდათან იმატა და 36-ზედ მომატებულიც-კი შესდგა, ამიტომ ქალაქის მოურავმა სთხოვა კრებას განეხილა მოხსენება გამგეობისა ქალაქის ვალების ექვს სარგებლიან ობლიგაციების კონვერსიისა ხუთ-სარგებლიანზედ. კანონის ძალით, ვალის აღება, მისი აჩქარებული მოშორება ანუ ვადის გაგრძელება, მამულების გაყიდვა და სხვა ამისთანები შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიკრიბება ხმოსნების ნახევარი რიცხვი მაინც და ამ ნახევარშა ორი მესამედი მაინც განაცხადებს თავისს თანახმობას. გამგეობის აზრით, საჭიროა ქალაქის ორივე ვალი შეერთდეს ერთად, ობლიგაციები გარდიქმნეს ხუთ-სარგებლიან ქაღალდებად და ამასთანავე ამ ვალის გადახდა სწარმოებდეს 25 წლის განმავლობაში. ასეთი ოპერაცია წლიურს შეღავათს მისცემს ქალაქის კასსას სამი ათას ექვსას თუმნამდე, რომელიც ამ გაჭირვებულ დროს დიდს შემწეობას აღმოუჩენს ქალაქის თვით-მმართველობას და უკანასკნელი აღარ იქნება იძულებული ყოველ წლივ ახალ-ახალი ვალები იღოს, რომ დეფიციტებს გაუძლვეს. საფინანსო კომისიის აზრით, საკმარისია მოჰხდეს მხოლოდ კონვერსია ობლიგაციებისა, რომ ნაკლები სარგებელი იხადოს ქალაქმა და ვადა-კი ვალის მოშორებისა არ უნდა გაგრძელდეს. ასეთი ოპერაცია წლიურად შ ამსუბუქებს ქალაქის ხარჯს შვიდას რვაას თუმნამდე.

ამის გამო ასტყდა კამათობა, რომელსაც მოანდომა კრებამ თითქმის ორ საათ ნახევარი. ბოლოს კენჭი უყარეს ჯერ გამგეობის მოხსენებას, რომელსაც ამოუვიდა 26 თეთრი და 16 შავი მერე დაუდგეს ყუთი საფინანსო კომისიის აზრს, რომელსაც ამოუვიდა 18 შავი და 24 თეთრი კენჭი. რადგანაც გამგეობის მოხსენებამ ვერ მიიღო ორი მესამედი თეთრი ხმოსანთა რაოდენობის კვალობაზედ და საფინანსო კომისიის აზრი-კი სრულებით არ იქმნა შეწყნარებული, ამის გამო კონვერსიის საქმე ერთიან ჩაიშალა. ხმოსანმა მ. ვ. მაჩაბელმა სთქვა, რომ კონვერსია მაინც სასურველია და ამიტომ გთხოვთ შემდეგი კრებისთვის გადავათვალიეროთ დღევანდელი გარჩენი და კვლავ ვილაპარაკოთ ამ საგანზედ, რომ ეგება საბჭომ შეიწყნაროს ეს საქმეო. კრება შეუდგა საყასბოს აშენების საქმის განხილვას ხმოსანმა ნიკოლაძემ ურჩია საბჭოს, რომ ერთი ექვსასიოდე თუმანი მიეცეს გამგეობას და ამ ფულით დაამზადონ შესაფერი პროექტები საყასბოსი, რომ მისი აშენება აჩქარდეს როგორმეო. წევრმა გამგეობისამ პ. ა. იზმაილოვმა განაცხადა, რომ გამგეობამ ერთის წლის წინ წარუგზავნა თავისი მოხსენება საფინანსო კომისიას და ამ მოხსენებაში სთხოვდა საბჭოს სულ სამას ორმოც-და-ათ თუმანს, რომ პროექტი დაემზადებინა და ყოველივე შესაფერი სამუშაო გაეთავებინა. საფინანსო კომისიას დღემდე არ წარმოუდგენია თავისი აზრი ამის შესახებ, რის გამოც დავკარგეთ მთელი წელიწადი, ე. ი. სამი ათას ოთხასი თუმანი, რადგანაც წლიურად მომატება შემოსავლისა გამოანგარიშებულია სამი ათას ოთხას თუმნადო. კრებამ დაადგინა სთხოვოს საფინანსო კომისიას, რომ აჩქაროს წარმოდგენა თავისის აზრისა საყასბოს შესახებ.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი**, 23 ოქტომბერი. დიდი ხანია, კახეთს არ უნახავს კარგი მოსავალი ღვინისა. აგერ ოცი წელიწადი იქნება, ზოგიერთ სოფლის გარდა, ყველგან უჩიოდნენ მოუსავლობას. ამ ზოგიერთ სოფელშიაც ხან მოდიოდა, ხან არა. ერთს წელიწადს რომ ველისციხეში და მუკუზანში კარგი მოსავალი ყოფილიყო, მეორე წელიწადს შილდასა და გრემში მოდიოდა კარგი მოსავალი. კაცი იფიქრებდა, მოუსავლობა ვენახის შეუმუშავებლობის ბრალი არისო, მაგრამ რაკი მოსავლიან ვენახს შეუდარებდით მოუსავლიან ვენახთან შემუშავების მხრივ, დარწმუნდებოდით, რომ მოუსავლობა სხვა მიზეზებისაგან უფრო იყო და არა მარტო შეუმუშავებლობის გამო. მართალია, საზოგადოდ ზემო კახეთში ვენახებს უხეიროდ აკეთებენ, განსაკუთრებით ალაზანს გაღმა, მაგრამ ერთ ნაირად უხეიროდ აკეთებენ და მოსავალი-კი შიგ ქრელად მოდიოდა.

ვაზს ყოველ გაზაფხულზედ კვირტი საზოგადოდ კარგა გამოჰქონდა; ყვავილიც საკმარისი ჰქონდა; მომცდარი ვაზი ცოტა იყო. ამ დროს მნახველი კარგს მოსავალს აღუთქვამდა პატრონს, მაგრამ მოსტყუვდებოდა-კი. დაისვრიმებაში ბევრი ყვავილი უცუდდებოდა, სცვივოდა. რაკი მარცვალი გამოისახებოდა, ნაცარი გამოაჩნდებოდა და, მინამ მარცვალი დამსხვილდებოდა, ნაცარი მომეტებულ ნაწილს ბოლოს უღებდა. რაც გადარჩებოდა, ისიც არ ვარგოდა. ამასთან ნაცარი წელს რომ მწვანეს გასჩენოდა, მერმის საფერავი დაინაცრებოდა; წელს რომ ერთს მხარეს ყოფილიყო ვენახში, მერმის მეორე მხარეს მოექცეოდა. საზოგადოდ-კი უფრო მწვანე და საფერავი ინაცრებოდა და უმეტესად სამხრეთი მხარე ვენახებისა. ნაცრის გარდა გაზაფხულობით ზოგიერთ დღეს ისეთი მოვლენა გატყდებოდა ბუნებისა, რომ რომელიმე მხარე ვენახისა სულ მოიშუშებოდა.

1888 წელს, მაისის ათსს, დილის რვა საათზედ, სოფელს აწყურში პაატა სულხანიშვილისა, მღვდელ დავით გოგიაშვილისა და სვიმონ მელვინეთხუციშვილის ვენახების ჩრდილოეთ მხარეს ჩამოწვა ნისლი; შემდეგ ორის საათისა გადაიწმინდა და მაშინვე შეეტყო, რომ ვაზებს იმ ადგილას, სადაც ხშირი ნისლი სჩანდა, რაღაც მოუვიდა. საღამომდის ფოთოლი გაბაცდა და სრულიად ირჩეოდა ფერით იმავე ვენახების სხვა ვაზთა ფოთლისაგან. მეორე და მესამე დღეს ფოთლები ცოტ-ცოტა გაყვითლდა და, მაისი არ გასულიყო, გასცვივდა. ეს ბევრს მემამულეს ვუამბე და ბევრს მათგანს არ გაუკვირდა, რადგანაც ამისთანა მოვლენა რამდენჯერმე ენახათ, ან ბევრისაგან გაეგონათ. ყველანი ერთსა და იმასვე ამბობდნენ: „სიცივემ დაჰკრაო“.

საშუალო მოსავალი ზემო კახეთში, მანამ ობი გაჩნდებოდა, დღიურზედ ოცს ჩაფს ანუ ოც-და-ათს ვედრას არ აღემატებოდა.

ამ მდგომარეობაში იყო კახეთის ვენახები, ვიდრე აქ ვაზს ობი გაუჩნდებოდა.

ობმა თითქოს ნაცარი დასთრგუნა და მისი მსხვერპლი თვით იგდო ხელთა. ობის დროს ისე აღარ ინაცრებოდა ვენახები. ნაცარი თანდათან შემცირდა. უკანასკნელს ორს წელიწადს ბევრ ვენახს სრულიად არა ჰქონდა ნაცარი.

ობმა ვაზს ისვრიმობისვე გააყრევინა ფოთოლი და ამ ნაირად მოუსპო ნაყოფს ზრდა და დამწიფება. ბევრგან ამ ობის გავრცელების შემდეგ მოდიოდა ბლომად ღვინო, მაგრამ დაბალის ხარისხისა და ამიტომ თავს ვერ იჭერდა. ამისთანა შვიდმა თუ რვა უკანასკნელმა წელიწადმა კახეთს სრულიად შემოუფრთხო ღვინის ვაჭარი. აქ მოჩვეულმა სირაჯებმა პირი მიიბრუნეს ერევნისა, იმერეთისა, რატევნისა, ქართლისა და სხვა ღვინის მოსავლიან მხარეებისაკენ. ჩვენი ღვინოები ჩვენვე დაგვიტოვეს. სხვის ღვინოები ჩვენის ღვინოების სახელითა ჰყიდეს. ყველა წარსულ წლებზედ მომეტებული ღვინო შარშან მოუვიდათ კახეთის მემამულეებს. მაგრამ გაყიდვით მცირე ნაწილი გაიყიდა და მომატებული ახლაც ქვევრებში უდგათ, ან წყლის ფასად ჰყიდიან მეპატრონენი.

ობმა მიიქცია ყურადღება მთავრობისა და 1889 წელს გამოგზავნილ იქმნა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისაგან მთელი დასი ბ-ნ ინანაშვილის უფროსობით. სხვათა შორის, ამ დასს დავალებული ჰქონდა ობისაგან ვენახების წამლობა. ბატონმა ინანაშვილმა არ იცოდა ადგილობრივი ვითარებანი და ამ სასარგებლო საქმემ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ გლეხობა დააფთხო, თავად-აზნაურობამ კიდევ ეჭვის თვალით დაუწყო ყურება. ორივეს თავისი მიზეზი ჰქონდა: ა) მოვიდა, თუ არა, იმ დალოცვილმა მაშინვე ლობიოს გამოუცხადა ომი. რომელი ვენახიც ამოირჩია სამაგალითოდ საწამლებლად, ლობიო გადააგლეჯინა ყველაზედ უპირველესად. თუმცა ამისთანა ვენახის პატრონები დააკმაყოფილა ფულით, გადაგლეჯილ ლობიოს საფასური მისცა, მაგრამ გლეხობა მიხვდა, რომ ყველას არ მისცემდნენ და გაიძახოდა: „ღვინო ან მომივა, ან არა; ლობიო-კი მოსულიც არის და ჰყვავის კიდეცა. ჩემი მუდმივი საჭმელი, ლუკმის გასასველებელი ის არის. ის არის ჩემი საჭმელი გუთანზედ, ფარცხაზედ, ბარვაში, თოხნაში, მკაში, კალოზედ და ეგეც რომ გადავგლიჯო, რითი ვიცხოვრო? „ქოთნის ჭირიმე, ის არის ჩემი კუჭის დედა-ბოძიო“. ამისთანა ლაპარაკი რომ ესმოდა, ბ-ნი ინანაშვილი მხრებს იწევდა, უკვირდა უმეცრება გლეხობისა, ლობიოს როგორ სწირავენ ვენახსაო. კოდი ორი მანეთი ღირს, ის რა ჩასაგდებიაო. თუ გლეხი არ მოიყვანს ლობიოს, ორ მანეთიდგან რვა მანეთიც გახდება, ამასკი აღარ ფიქრობდნენ, ბატონო. ან ვის რას უშლიდა ლობიო? ახლა რო ლობიოიანს ვენახსა ვწამლობთ, რა უჭირს? ამ ლობიოსთან გაცხარებულის ომის დროს ჩავედი საფილოქსერო დასის სადგომში. აქ არ იყო ბ-ნი ინანაშვილი. დასის მოსამსახურეთაგანი ორი დამხვდა. ამათ ვკითხე ლობიოს გარემოება, მითხრეს: „მართალია, ვაგლეჯინებთ, იმიტომ რომ შაბიამანით მოიშხამებაო. ბ) თავად-აზნაური ეჭვით დაუწყეს ყურება მიტომ, რომ წამლობის საქმეს დასი მეცნიერულს ხასიათს აძლევდა, მრავალ-სიტყვაობაში იკარგებოდა სწორედ ის, რაც საჭირო იყო გასაგებად და დასახსომებლად.

მე არ ვიცი, იქნება ბ-ნ ინანაშვილს მეტის-მეტის ბეჯითობით მოსდიოდა ლობიოს გლეჯა და წამლობის ახსნის გაგრძელებ-გავრცელებ-გადამეცნიერება. თუ გნებავთ, მჯერა კიდეც, რომ მომეტებულის გულ-მოდგინეობით მოსდიოდა ყოველივე ესე. ამასთან ისიც მტკიცედ მჯერა, რომ თუ ბატონს ინანაშვილს ჩვენი გარემოებანი ზედ მიწევნით სცოდნოდა, თუ მცხოვრებლებთან ახლო ნაცნობი ყოფილიყო, ამდენი დრო, შრომა და ხარჯი არ დასჭირდებოდა, დაერწმუნებინა, რომ წამლობა სასარგებლოა. მტკიცედ მჯერა, რომ მეორე წელიწადსვე ბევრი უწამლებდა, მესამე წელიწადს ხომ არავინ დააგდებდა უწამლებელს და 1890—1891 წლების მოსავლით უკეთესად ისარგებლებდნენ კახეთის მემამულენი, ვიდრე ისარგებლეს.

რასაკვირველია, ბოლოს ყველამ შეიგნო წამლობის სარგებლობა და ამ უკანასკნელ წელიწადს ბევრმაც უწამლა, მაგრამ ის-კი არ ვიცი, განსაკუთრებით შეიძლება მივაწეროთ ვისმე, თუ ყველა იმ შეგნებულ მემამულეს, რომელთაც უწამლეს და და რომელთა ნაწამლი ვენახები სიტყვაზედ უკეთესად არწმუნებდა ყველას, რომ წამლობა სასიკეთო იყო და არის ვენახისათვის.

ინანაშვილი დასასრულ დიდის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღლობის ღირსია თელავში საწყობის გამართვისათვის. თუ არ იმისაგან გამართული საწყობი, ბევრი ვენახი დარჩებოდა უწამლებელი და ბევრს წამლობითაც გააფუჭებდნენ, რადგანაც შეუფერებლის წამლით უწამლებდნენ. წრევანდელი ღვინის მოსავალი კახეთში ისეთის განსაკუთრებულის ხასიათისაა, იმდენად განირჩევა ყველა ამ ოცის წლის ღვინის მოსავლისაგან, რომ ეს წელიწადი ჩვენ მემამულეთათვის ახალ ხანად უნდა აღინიშნოს მევენახობის ისტორიაში. ამიტომ ამ საგნის შესახებ ცალკე მოვილაპარაკოთ.

ნადიკვრელი

## რუსეთი

„Вѣстникъ Финансовъ"-ს მოჰყავს საინტერესო ცნობანი ფინლიანდიაში მუშათა დასაზღვევ კასსების დაარსების შესახებ. 1888 წელს ამ საგნის შესახებ ფინლიანდიის საეროვნო წარმომადგენლებმა თხოვნა მიართვეს რუსეთის იმპერატორს, განსაკუთრებული კომისია დავვინიშნეთ და ფინლიანდიის მუშათა დაზღვევის საქმე მთავრობის დახმარებით განხორციელდესო. 1889 წ. კიდეც დანიშნეს ასეთი კომისია, რომელმაც ეხლა-ხან შეასრულა ეს საქმე და წარუდგინა მთავრობას ორი პროექტი სახელმწიფო ხაზინის დახმარებით მუშების კასების დაარსებისა ფინლიანდიაში. ერთს პროექტზედ კომისიის უმრავლესობას უწერია ხელი. ამ პროექტით მუშათა დამზღვევი კასები უნდა დაწესდეს თვით მუშებისაგან, მუშების ნება-ყოფლობით და თაოსნობით, მთავრობამ მხოლოდ წესდება უნდა დაამტკიცოს და იმ კასებს, რომელნიც კარგად წაიყვანენ თავიანთ საქმეს, დახმარება მიეცემა ხაზინიდგან წევრთაგან წინა წელში შემოტანილ საწევრო ფულისა 15 °/o და 200 მარკა საკუთრად კასის მართვა-გამგეობისათვის.

მეორე პროექტზედ კომისიის წევრთა მცირე რიცხვს უწერია ხელი. ამ პროექტით შესაძლებელად არ არის მიჩნეული დასაზღვევი კასები მუშათა ნება-ყოფლობით დაარსდეს, რადგან, როგორც გამოირკვა, დასავლეთ ევროპაში ღარიბი მუშები ძნელად ეწერებიან ამ ნაირის კასების დამაარსებელ საზოგადოების წევრებად.

ეს მეორე პროექტი ამტკიცებს, რომ საჭიროა ფინლიანდიაში სავალდებულოდ გახდეს მუშათა დაზღვევის კასების დაარსებაო. პირველი მუხლი ამ პროექტისა ამბობს, რომ ის მუშები, რომელნიც სხვა-და-სხვა ქარხნებში, ქალაქის სახელოსნო დაწესებულებანში და სასოფლო სასამრეწველო ქარხნებში მუშაობენ და რომელთაც წლიური შემოსავალი 2,000 (500 მან.) მარკაზედ მეტი არა აქვთ, უეჭველად უნდა გახდნენ კასების წევრებადაო.

— „Спб. Вѣд." სიტყვით, სრულიად გამოირკვა და კიდეც გადასწყვიტეს ის საგანი, რომ სახალხო სკოლებს მიეცეს მიწა და სავალდებულოდ გახდეს სახალხო სკოლებში მებოსტნეობისა, მევენახეობისა, მებაღობის და საზოგადოდ მეურნეობის სწავლება. გულ-დადებით აგროვებენ ეხლა ამ საგნის შესახებს საჭირო ცნობებსა და მასალებს. მცოდნე კაცებს უკვე მოუმზადებიათ ცნობანი იმის შესახებ, თუ როგორ არის ეს საქმე მოწყობილი საფრანგეთსა, გერმანიასა, ავსტრიასა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში.

— გაზეთ „Кіевлянинъ"-ის სიტყვით, ძლიერ საინტერესო მოგზაურობა განუზრახავთ ქ. ჩერკასკში მდგარ მე-76 ყუბანის ქვეითა ჯარის აფიცრებს. მათ განუზრახავთ ეგვიპტეს წავიდნენ და მდინარე ნილოსით ქვემო ეგვიპტეს ჩავიდნენ, დაათვალიერონ ეგვიპტის მეფეთა—ფარაონთა კოშკნი (პირამიდები), ძველის ქალაქების: მემფისისა და ფიბის ადგილები და გასინჯონ ძველ ეგვიპტეს ფარაონების ფრიად საყურადღებო ნაშთნი და სხ. ეს აფიცრები 18 დეკემბერს ქ. ოდესიდგან გაემგზავრებიან, მგზავრობაში მხოლოდ 3—4 თთვეს დაჰყოფენ და თითო კაცს მოგზაურობა 300—400 მანეთი მეტი არ დაუჯდება.

ქვემო ეგვიპტეს ნაშთთა დათვალიერებას, გარდა მოგზაურები ინადირებენ კიდეც და მწერთა კოლლექციასაც შეაგროვებენ.

## უცხოეთი

**ამერიკა**. დასთა საარჩევანო ბრძოლა დემოკრატებისა და იმათის კანდიდატის კლიველენდის გამარჯვებით დამთავრდა. როგორც უკანასკნელ ცნობებიდგანა სჩანს, 277 ამომრჩეველს კლიველენდი დაუსახელებიათ პრეზიდენტად, 135 — გარრისონი და 32—უიველი, საერო, ესრედ წოდებულ მესამე დასის კანდიდატი. რაკი სულ 444 ამომრჩეველია, ეხლავე აშკარადა სჩანს, ვინც იქნება პრეზიდენტად ამორჩეული. ამომრჩეველთა არჩევანი დაიწყო 27 ოქტომბერს დილითვე. ნიუ-იორკში კლიველენდის მომხრენი 76,125 ხმის უმეტესობით იქმნენ ამორჩეულნი, ბრუკლინში—28,900 ხმის უმეტესობით. ნიუ-იორკის შტატში დემოკრატთა კანდიდატებმა 54,361 ხმით გაიმარჯვეს, 1888 წელს-კი რესპუბლიკელებმა დაამარცხეს დემოკრატთა დასი 19,000 ხმის უმეტესობით. არჩევანებმა დიდად მშვიდობიანად და წყნარად ჩაიარა. ნიუ-იორკის მერად 75,000 ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნა დემოკრატი ჯილროი. სხვა შტატებიდგან ჯერ არ მოსულა ცნობები არჩევანის შესახებ. დიდის მოუთმენლობით ელოდნენ, ვნახოთ რითი დაბოლოვდება არჩევანები საეჭვო შტატებში (ილინოისსა, ინდიანასა და კონნექტიკუტში), რომელნიც ყოველთვის რესპუბლიკელთა დასს ემხრობოდნენ. ამიტომ, როცა ამბავი მოვიდა, რომ ამ შტატებშიაც დემოკრატთა კანდიდატებმა გაიმარჯვეს დიდის ხმის უმეტესობითაო, დიდად ესიამოვნათ კლიველენდის მომხრეებს. საპრეზიდენტო ორივე კანდიდატიც ამომრჩეველთა სიაში მოჰყვნენ—გარრისონი ინდიანოპოლისისაში და კლიველანდი—ნიუ-იორკისაში. პირველი არ დაესწრო არჩევანს, მეორე-კი ნიუ-იორკს იყო და ხალხი დიდის ალტაცებით მიეგება. როგორც ეტყობა, სტეევნსონი უეჭველად იქნება ამორჩეული ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზედ. სტეევნსონმა განაცხადა თურმე, იმიტომ ჩაიარა ასე არჩევანებმა და იმიტომ გაიმარჯვეს ასე ძლიერ დემოკრატებმა, რომ მუშახალხმა და ფერმერებმა წინააღმდეგობა გამოუცხადეს მაკ-კინლის ტარიფებსა და საპროტექციო პოლიტიკას რესპუბლიკელების დასისას. როგორც ახალ არჩევანების მსვლელობას ეტყობა, ახალი წარმომადგენელთა პალატა სულ დემოკრატებით იქნება სავსე. დემოკრატთა უმრავლესობავე იქნება სენატში. როგორც 29 ოქტომბერს მომხდარ არჩევანებიდგანა სჩანს, სენატში 45 დემოკრატი უნდა იყოს, 38 რესპუბლიკელი და 5 საერო დასის წარმომადგენელი.

## წამებული ენა

...რა ენა წარხდეს,
ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას.
გრ. ორბელიანი

ეხლა-ხან აღიბეჭდა ახალი ქართული წიგნი: „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები. დიმიტრი ყიფიანი. თხზ. ზ. ჭ—სა". ხომ იცნობთ პატივცემულ მოღვაწეს ზ. ჭ—ს?—კი, ვინ არ იცნობს! დიდიც, ყოველი ქართველი, რომელსაც-კი ორი-სამი ქართული წიგნი წაუკითხავსა, იცნობს, კარგად იცნობს ამ პატივცემულს ორ ასოს: „ზ. ჭ." ბ-ნი ჭ—ე, აგერ ოცი წელიწადი იქნება, მუშაობს, თავდადებით და საკვირველის მხნეობით იღვწის ქართულის მწიგნობრობის სარბიელზედ. რიცხვი აღარა აქვს მის მიერ აღბეჭდილს წიგნებს, წიგნაკებს, ბროშურებს. თავისი თავი სავსებით შესწირა ამ საქმეს. მერე რა უანგაროა ეს შრომა! ვინ არ იცის, რომ წიგნის გამოცემა სახეირო ვაჭრობა არ არის ჯერ ჩვენში. ბ-ნ ზ. ჭ—ს რომ ამოდენა მხნეობა და ხასიათის მედგრობა თავის კერძო საქმეებისთვის მოენდომებინა, რომ, ვამბობთ, ასე მტკიცედ შესდგომოდა ან ვაჭრობას, ან მრეწველობას, ან მეურნეობას, დღეს შეძლებული კაცი იქნებოდა და ფულით იკოჭავებდა. ნაცვლად ამისა, ჩვენ ვხედავთ ერთობ ხელ-მოკლე კაცს, რომელიც მიუხედავად ამ გარემოებისა, დადის ოსმალოს საქართველოში, ავრცელებს იქ ქართულ წერა-კითხვას, ქართულ წიგნებს, სწავლობს მათს ზნე-ჩვეულებას, სწერს ფრიად საინტერესო კორესპონდენციებს გაზეთში და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით, ქართველობისათვის, და მეტადრე ქართულის ენისთვის ბ-ნი ზ. ჭ—ე წამებული დ ჯვარ-ცმულია... გარნა, სათქმელადაც-კი ძნელია! თითონაც ამ ოცის წლის მანძილზედ საკმაოდ აწამა და ჯვარს აცვა თავისი საყვარელი სამშობლო ენა. ძნელი დასაჯერებელია ასეთი ამბავი, მაგრამ რას იზამთ, რომ მართალია. ეს იმას ჰგავს, რო საყვარელს შვილს შენის ხელითვე ყელსა სჭრიდე.

დასამტკიცებლად ჩვენის აზრისა საკმარისია გადავათვალიეროთ ზემოდ აღნიშნული ნაწერი პატივცემულის ავტორისა.

არ იფიქროთ, რომ ბევრი ძებნა დაგვჭირდეს შეცდომებისა. არა, წიგნს ასეთი სათაური ძალიან მოუხდებოდა: „შეცდომათა კონა".

პირველსავე ფურცელზედ ვკითხულობთ:

„რაც ქართული ახალი ძალა და მწერლობა აღორძინდა, მას შემდეგ ყოველ პატიოსან ქართველ მწერლის ერთ უმაღლეს კანონმდებლობითი ვალდებულებას საქართველოს სიყვარულის შესახები ღაღადება შეადგენს". „კანონმდებლობითი" ამ წინადადებას ისე უხდება, როგორც ძროხას ინგლისური უნაგირი. გარდა ამისა, უნდა იყოს: „კანონმდებლობითს", ანუ „კანონმდებლობით".

ამოწერილს წინადადებას მოსდევს:

„იმ ქართველ კაცს თავის დედის ძუძუ შხამათ (შხამად) უნდა შაერგოს, ვისაც თავის ქვეყნის და ერის ბედნიერების გამო შრომა და სიკვდილი დაზარებიაო. დასანატრია ისეთი თავობა, რომელთაც თავის დადება ერის თავისუფლების გამო ჩალათ (ჩალად) მიაჩნიაო. იდეალურად საუბარს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი მწერლობის ასეთი მოსაზრების შესახებ სხვა-და-სხვა სიტყვებითაც დავასაბუთებთ...

„აბა მიბძანეთ, „იდეალურის საუბრის" ავტორი რას „დაასაბუთებს" „მწერლობის მოსაზრების შესახებ? ესე იგი ლექსს „დავასაბუთებ"-ს რომელი დამატებითი სიტყვა ეკუთვნის? მერე, სად გაგონილა და თქმულა „თავობა, რომელთაც"? თავობა მხოლოობითს რიცხვში ბრძანდება ნახმარი და, ცხადია, უნდა ითქვას „რომელიც". მესამე, ცხადია, უნდა იყოს „ბედნიერებისათვის", თავისუფლებისთვის" და არა „გამო".

ცოტა ქვევით, ისევ და ისევ იმავე ფურცელზედ:

„ეს სთქვა ჩვენი დროის მწერალმა ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ".... არ იქნა, ჩვენმა მწერლებმა ვერ შეითვისეს, ვითარ უნდა შეეკვეცოს დაბოლოვება განსამარტებელს სიტყვას. კანონი ასეთია: უნდა ითქვას ან სრული ფორმა „ჩვენის დროის", ანუ მთლად, ერთიანად შეეკვეცოს ფლექსია ნათესაობითის ბრუნვისა „ის" და დარჩეს მხოლოდ ძირი, „ჩვენ დროის". აგრეთვე უნდა ითქვას: ან ქართველის კაცის, საყვარელის ძმის, უძვირფასესის მამულის და სხვა, ანუ ქართველ კაცის, საყვარელ ძმის, უძვირფასეს მამულის და არა: ქართველი კაცის, საყვარელი ძმის და სხვ.

ცოტა ქვეით ისევ იმ პირველ ფურცელზედ ავტორი ხმარობს „მიმართვა" ნაცვლად „მიმართულება".

მეოთხე გვერდზედ სწერია:

„ამ ღაღადების გრძნობებმა მით უფრო იჩინეს ჩვენში თავი, რადგანაც იმ დროს უკვე დაარსებული იყო ის სენი და თავ-მოწონება, რომელსაც ქართველობის „გმობის ხანა" ეწოდება".

მთავარის წინადადების „მით უფრო"-ს დამატებულს წინადადებაში შეჰფერის „რომ" და არა „რადგანაც". „დაარსებული იყო"-კი არა, უნდა ითქვას: „დაარსებულ იყო", „განდევნილ იქმნა" და სხვა. ეს „სენის და თავ-მოწონების დაარსებაც" ხომ ქართული არ არის.

მე-5 გვერდზედ:

„დიახ, როგორც განათლებულს ერში შეიძლება რომ ასე იყოს და ყოველს პირს ის უფრო უყვარდეს, ვინც უფრო მასთან ახლოს სდგას, მაგრამ ჩვენში-კი ეს ერთობ იშვიათია".

„როგორც" და „მაგრამ" სადაურია? არა გვგონია იყოს ქვეყანაზედ ენა, რომლის გრამატიკამაც მაგგვარი ლექსთა დამოკიდებულობა შეიწყნაროს.

მე-6-ე გვერდზედ:

„იყო ისეთი საზოგადოებაც, რომელნიც უმზერდნენ"... და სხვა.

„საზოგადოება", რომელიც უმზერდა და არა „უმზერდნენ.

მე-8-ე გვერდზედ:

„ამის წინააღმდეგ წავალთ ჩვენ (აბა ერთი!). ჩვენ ფაქტებით დავამტკიცებთ დ. ყიფიანის მონარქიული ჭკუზროვნების წინააღმდეგ. ბევრნი კიდევ ამას (უნდა იყოს „იმას") იცნობდენ, როგორც მოხუცებულს პირს. ჩვენკი ამ პირს ქართველების გლადსტონს უწოდებთ".

აბა ხათაბალაც ამასა ჰქვიან, აი! პატივცემულს ყიფიანს მოხუცებულ პირად რად იცნობდენო! მაშ, არც გლადსტონია მოხუცებული? მერე, რას დავამტკიცებო, გაიგეთ? გაგონილა ასეთი „აბდა-უბდა" წერა!

მე-10-ე გვერდზედ:

„ცოტათი ხანში შესვლის დროს დ. ყიფიანი მიუციათ სასულიერო სასწავლებელში".

„ხანში შესვლა" სიბერეს ნიშნავს და ავტორი-კი სიჭაბუკეზედ ლაპარაკობს.

მე-12-ე გვერდზედ:

„რომ ვიღაც მასწავლებელი ჩვენი კეთილშობილთ შვილები თმების გლეჯას, ცემას და თრევას დაუწყებს".

აბა გაიგეთ, „მასწავლებელი" შვილებსა სცემს, თუ „შვილები" მასწავლებელს? „ლინეიკის" მაგიერ სწერს „ლილეიკა". „ხალხნი აღიარებული". ავტორს აზრადა აქვს პატივცემულს სახელს განსვენებულის დ. ყიფიანისას შარავანდედი მოჰფინოს, მაგრამ ენის უცოდინარობისა გამო ქება-დიდების ნაცვლად „იმერეთის წუნკალას" ეძახის. დიმიტრი ყიფიანი და „იმერეთის წუნკალა"! ახა ღმერთო, განა ეს დასაჯერებელია? არა, მაგრამ აბა მოისმინეთ:

„ამ პირის მეოხებით (ყიფიანზეა ლაპარაკი) ბევრი დავი-დარაბა მოისპო ზემოხსენებულ პირებში ლვაი-ვაგლახოთ და უდავი-დარაბოთ, ბევრი გვარის კაცი ასცდა ხანჯლებით ჩეხას, საჩივრებს და თავის ცოლ-შვილის დაღუპვას. ამის მხრივ დიდი დავალება აქვს დ. ყიფიანს მათზე, მაგრამ ამაზე უფრო დიდი ღირსება ის არის, რომ იმ უდროვობაში დ. ყიფიანი ბევრს საბატონ-ყმო საქმეებშიაც იღებდა მონაწილეობას და ეს იმერეთის წუნკალა (ვინა, ბატონო? თქვენ ყიფიანზედ ჰლაპარაკობდით და ნაცვალ-სახელი „ეს" მას ეკუთვნის!) ბევრს ბატონს არიგებდა თავის ნაყმევებზე"...

დ. ყიფიანი „იმერეთის წუნკალა" იყოვო და ბატონებს ყმებს ურიგებდაო!!!

კმარა, ჩვენა გვრცხვენიან ბ-ნ ზ. ჭ—ს მაგიერ! აღარც სხვა ნიმუშებს მოვიყვანთ ზ. ჭ—ძის ქართულისას.

პაატა

## სასარგებლო ცნობა

ქათმის კვერცხის შენახვა. კვერცხს წაუსვით ვაზელინი და ისე შეინახეთ 4—5 დღე. შემდეგ ხელ-მეორედ კაზელინივე წაუსვით, ქოტოში ჩასდეთ და მშრალ ადგილას შეინახეთ. ამ რიგად შენახული კვერცხი 2—3 თთვეს არ გაფუჭდება.

# დეპეშა

10 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გაზეთები ამბობენ, რომ ბოროტ-მოქმედების ასაცილებლად მთავრობას განზრახვა აქვს თვითონ მოაწყოს საქმე პურის მიწოდებისა იქ, სადაც მოუსავლობა იყო.

სახელმწიფო საბჭო განიხილავს პროექტს გუბერნიის მართვა-გამგეობისას და ძირეულ მომქმედ—კანონთა კრებულისას ფინლიანდიის დიდის სამთავროსათვის.

**პარიჟი.** საფრანგეთის მხედრობამ უომრად აიღო აბომეია. მეფემ დასტოვა სამეფო და გაიქცა.

**ბერლინი.** გერმანიის ელჩის გენერალ შვეიტნიცის მოადგილედ რუსეთში ინიშნება გენერალი ვერდერი, რომელიც დიდხანს იყო პეტერბურგს სამხედრო დესპანად, ანუ გერმანიის სამხედრო უწყების სანდო კაცად.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — ,, | — ,, | 8,12 |
| ტამოჟნის კუპონები | — ,, | — ,, | 162³/₄ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,08 | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 239¹/₂ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 218¹/₄ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 190¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6⁰/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

გამოცდილი რეპეტიტორი

**ამზადებს**

პირველ დაწყებით სასწავლებლისა და პროგიმნაზიის ყველა კლასის შეგირდებს

დილის 8—10 საათამდე და ნაშუადღევის 3—8 საათამდე.

ადრესი: „ივერიის“ რედაქციაში.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა, 1881 წელს 17 თებერვლის დამტკიცებულ ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, ამით აცხადებს, რომ 14 და 15 დეკემბერს 1892 წ., დილის 12 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში, საჯაროდ გაისყიდება ქვემოხსენებული მამულები ვაჭრობის განუმეორებლად, ბანკის წესდებულებით დადგენილ გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა წესდების მე-18 § ძალით დაიწყობა თავნი ვალიდამ, რომელზედაც ზედ მივა დარჩენილი ფული სახელმწიფო და საერო (земскія) გარდასახადისა. თავნი ვალის გადაწყვეტა შეიძლება ბანკის გირავნობის ფურცლებით მანათით მანეთზედ; აგრეთვე შეიძლება ბანკის ვალი გადავიდეს მამულების მყიდველზედ. ვადაზედ შემოსატანი ფული და ძველი დარჩენილი (недоимка) უნდა შევსებული იყოს ნაღდის ფულით.

თუ 14 და 15 დეკემბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 § ძალით დაინიშნება უკანასკნელად 29 დეკემბერს ამავე 1892 წელს. მე-16 § თანხმად მოვალეს შეუძლიან დარჩენილი ფული სარგებლით და სხვა ხარჯის შევსებით შემოიტანოს ერთის დღის წინად ვაჭრობამდე. ქალაქის მამულების ვაჭრობა იქნება 14 დეკემბერს, ხოლო სოფლის მამულებისა-კი 15 დეკემბერს 1892 წ.

**ძველი კატეგორიისა. ა) ქალაქის მამულები.**

ხერხეულიძე, ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, ფლიგელით და სამოსამსახუროთი, მიწისა და ეზოს ზომა 324¹/₂ ოთხ-კუთხი საჟენი, მე-11 ნაწილში, მე 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზედ და უსახელოზედ. თავნი ვალი 3607 მ. 23 კ.- შემოსატანი გარდასახადი 323 მ. 96 კ. სულ 3931 მ. 19 კ.

ოქუაშვილი, გრიგოლ იაგორის ძე; ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით, ეზოთი და მიწით, ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. ტფილისის მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ოქრომჭედლების ქუჩაზედ. თავნი ვალი 3279 მ. 21 კ., შემოსატანი გარდასახადი 340 მ. 30 კ., სულ 3618 მ. 51 კ.

რამლიაუ, ვალენტინ გენრიხის ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარაიით, ეზოთი და მიწით, ზომით 104 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. ტფილისის 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, კომენდატის ქუჩაზედ. თავნი ვალი 1202 მ. 28 კ., შემოსატანი გარდასახადი 106 მ. 14 კ., და სულ 1308 მ. 92 კ.

მებურნუთოვი, დავით პავლეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით 518 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-10 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს ბაგრატიონის ქუჩაზედ. თავნი ვალი 3061 მ. 94 კ., შემოსატანი გარდასახადი 292 მ. 83 კ., და სულ 3354 მ. 77 კ.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარი მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 საჟენი და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეში. თავნი ვალი 2381 მ. 53 კ., შემოსატანი გარდასახადი 196 მ. 24 კ., და სულ 2577 მ. 77 კ.

მანუჩაროვი, მიხეილ ზაქარიას ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სარდაფით სახლი, მიწით და ეზოთი ზომით 94 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-7 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს თავნი ვალი 1994 მ. 57 კ., შემოსატანი გარდასახადი 164 მ. 69 კ., და სულ 2149 მ. 26 კ.

ფირალოვი, არტემ სტეფანეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწით და ბაღით ზომით 4 დესიატინა მე-16 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს ნავთლუხში. თავნი ვალი 1134 მ. 7 კ., შემოსატანი გარდასახადი 203 მ. 1 კ., და სულ 1337 მ. 8 კ.

თამამშოვი, ალექსანდრე სოლომონის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამი წყაროთი, ყველა კუთვნილებით, ბაღით და რიგის წყლით, მიწა ზომით 3 დესეტინა და 350 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-9 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს. კრწანისში. თავნი ვალი 1818 მ. 59 კ., შემოსატანი გარდასახადი 153 მ. 4 კ., სულ 1971 მ. 63 კ.

ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ ზაალის ძე და ჯანდიერი ლევან გიორგის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და მიწით, ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟენი., ქ. თელავში. თავნი ვალი 853 მ. 05 კ., შემოსატანი გარდასახადი 82 მ. 46 კ., სულ 935 მ. 51 კ.

ნიჟოლაძე, ნიკოლოზ იაკობის ძე: ერთს-სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოთი, მიწა ზომით 235 ოთხ-კუთხი საჟ., მე-16 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუხში. თავნი ვალი 426 მ. 51 კ., შემოსატანი გარდასახადი 66 მ. 71 კ., სულ 493 მ. 22 კ.

**ბ) სოფლის მამულები**

ხიმშიაშვილები, ნიკოლოზ, ნინო, მარიამ გიორგის ძე და ასულნი და ეკატერინე ბეჟანის ასული: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 653 დესეტინა და 1820 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. ანთნისხევში. თავნი ვალი 3937 მ. 84 კ., შემოსატანი გარდასახადი 185 მ. 89 კ., სულ 3123 მ. 73 კ.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე: სახნავი და სამოსახლო ადგილები, შენობებით და ვენახით, მიწა ზომით 151 დესეტინა და 300 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფელ ბრეთში, თავნი ვალი 7929 მ. 55 კ., შემოსატანი გარდასახადი 364 მ. 78 კ.; სულ 8294 მ. 33 კ.

(მაღალოვისა, მარიამ დიმიტრის ასული) აბხაზი. სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილები და ტყე, შენობით, მიწა ზომით 2867 დესეტინა და 562 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში. ადგილების სახელები: სადახლო, ჩოჩქაანი, ქვემო ცოფი, თოხლი-ქილისა, არაბათალა, ფალიან-თაქიანი, გალითალა, ხუჯაბა, ლილვარის საძოვრები, ხუდიბანა, დაჩა არაბათალა და გულიბალა. თავნი ვალი 37695 მ. 50 კ., შემოსატანი გარდასახადი 1529 მ. 42 კ., სულ 39224 მ. 92 კ.

კერესელიძე, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე ზომით 104 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2661 მ. 32 კ., შემოსატანი გარდასახადი 176 მ. 5 კ., სულ 2837 მ. 37 კ.

ამილახვრები, ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული, და თაზიევისა მარიამ ალექსანდრეს ასული: სახნავი და სასახლკარო მიწები, ზომით 33 დესეტინა და 320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ გრაკალში. თავნი ვალი 1339 მ. შემოსატანი გარდასახადი 96 მ. 47 კ. სულ 1435 მ. 47 კ.

ფალავანდიშვილი, ივანე ანტონის ძე: სახნავი და საძოვარი მიწები, ზომით 90 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ პატარა თამარაშენს, ქვათეთრასა, ოქონოსა და ხიდის-უბანში. თავნი ვალი 1785 მ. 54 კ., შემოსატანი გარდასახადი 115 მ. 62 კ., სულ 1901 მ. 16 კ.

ქობულოვები, იოსები, სოლომონი და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 823 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფელ კონდოლში. თავნი ვალი 8926 მ. 74 კ., შემოსატანი გარდასახადი 364 მ. 78 კ., სულ 9291 მ. 52 კ.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესეტინა და 876 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისის და გორის მაზრაში, სოფელ ახალ-ქალაქს, მუხაურს და სათარხნოში. თავნი ვალი 6248 მ. 07 კ., შემოსაშანი გარდასახადი 320 მ. 58 კ., სულ 6568 მ. 65 კ.

კალატოზოვი, ვასილი აბელის ძე: სახნავი მიწები, ზომით 37 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ბრეთში. თავნი ვალი 1339 მ. შემოსატანი გარდასახადი 90 მ. 25 კ., სულ 1429 მ. 25 კ.

ვაჩნაძე, იოსებ რევაზის ძე: სახნავი მიწები და ტყე, ზომით 663 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბარემკალოს. თავნი ვალი 2678 მ. 02 კ., შემოსატანი გარდასახადი 153 მ. 20 კ., სულ 2831 მ. 22 კ.

ვახვახიშვილი, ეკატერინე გიორგის ასული: სახნავი მიწები და ტყე, ზომით 308 დესეტინა, 555 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 2678 მ. 02 კ., შემოსატანი გარდასახადი 126 მ. 28 კ., სულ 2804 მ. 30 კ.

ბარნაბიშვილი, შიო იასონის ძე: სახნავი მიწები, ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში. თავნი ვალი 445 მ. 73 კ. შემოსატანი გარდასახადი 47 მ. 92 კ., სულ 493 მ. 65 კ.

ბაგრატიონ-მუხრანსკი, ივანე კონსტანტინეს ძე: სახნავი ადგილები და ტყე, ზომით 660 დესეტინა და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, აგარაკ ბოტკოზში. თავნი ვალი 10843 მან. 40 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 484 მან. სულ 11327 მან. 40 კ.

გრიქუროვი, ზაქარია პეტრეს ძე: საძოვარი და სათიბი ადგილები, ზომით 265 დესეტინა და 2235 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, პატარა ლილოს ახლოს. თავნი ვალი 10129 მან, 98 კ., შემოსატანი გარდასახადი 214 მ. 67 კ., სულ 10344 მ. 65 კ.

პოლტარაცკი, ალექსანდრე ეგნატეს ძე: სახნავი, საბალახე, საბოსტნე ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა და 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ოქროყანას. თავნი ვალი 6446 მ. 30 კ., შემოსატანი გარდასახადი 348 მ. 47 კ., სულ 6794 მ. 77 კ.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარტაფებით, სამზარეულოთი და სხვა შენობებით, ეზოთი და წყაროთი, მიწა ზომით ერთ დესეტინამდე, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანას. თავნი ვალი 1841 მ. 85 კ., შემოსატანი გარდასახადი 83 მ. 88 კ., სულ 1925 მ. 73 კ.

შოტტ ლევ, იპპოლიტეს ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები, მინდვრები და ტყე, ზომით 2074 დესეტინა და 420 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენს ახალ-დაბას და ახშაანში. თავნი ვალი 12941 მ. 91 კ., შემოსატანი გარდასახადი 527 მ. 98 კ., სულ 13,469 მ. 89 კ.

ერისთავისა, დარია დიმიტრის ასული: სახნავი, სასახლკარე ადგილები, ტყე და მინდვრები, ზომით 1009 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. წოლდოში. თავნი ვალი 6008 მ. 37 კ., შემოსატანი გარდასახადი 256 მ. 79 კ., სულ 6265 მ. 16 კ.

წერეთელი, ბაგრატ მიხეილის ძე: მინდვრები და ტყე, ზომით 1020 დესეტინა და 1920 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენს. თავნი ვალი 8134 მ. 87 კ., შემოსატანი გარდასახადი 372 მ. 06 კ., სულ 8506 მ. 93 კ.

გაბაევი, იოსებ დავითის ძე: სახნავი, სასახლკარო ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა და 1860 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 5083 მ. 99 კ., შემოსატანი გარდასახადი 222 მ. 08 კ., სულ 5306 მ. 7 კ.

სოლაღოვი, იასე ქაიხოსროს ძე (თაიროვი: სახნავი ადგილი, ზომით 25 დესეტინა და 1620 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. კუმისში. თავნი ვალი 927 მ. 77 კ., შემოსატანი გარდასახადი 45 მ. 41 კ., სულ 973 მ. 18 კ.

ხიზანაშვილი, ლუკა ბიძინას ძე და სხვები: სახნავი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 714 დესეტინა დ 1320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრაში, ს. ბოჭორმაში. თავნი ვალი 2505 მან. 3 კ., შემოსატანი გარდასახადი 108 მ. 53 კ., სულ 2613 მ. 56 კ.

გაბაევი, პავლე პეტრეს ძე: სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები, ზომით 310 დესეტინა და 479 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელს საგაბაშვილოს, აგარაკ თხინვალაში. თავნი ვალი 3711 მ. 98 კ., შემოსატანი გარდასახადი 144 მ. 80 კ., სულ 3856 მ. 18 კ.

ავსარქისოვი, ფარსადან იაკულის ძე: იარალოვი სერგეი ივანეს ძე და პირო მელქისედეკ ოსების ძე. სახნავი, სათიბი, საძოვარი და სასახლკარე ადგილები, ზომით 623 დესეტინა და 888 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ სკრაში. თავნი ვალი 12061 მ. 88 კ., შემოსატანი გარდასახადი 506 მ. 51 კ., სულ 12568 მ. 39 კ.

თამამშოვი ვასილ ზაქარიას ძე: სახნავი, სასახლკარე, საძოვარი და საბალახე ადგილები, ზომით 106 დესეტინა და 320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ერთისში. თავნი ვალი 4639 მ. 14 კ., შემოსატანი გარდასახადი 191 მ. 11 კ., სულ 4838 მ. 25 კ.

შალიკაშვილი, იოსებ ივანეს ძე: სახნავი, სასახლკარე ადგილები, ტყე და ბაღი, ზომით 270 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. გურჯაანში. თავნი ვალი 4639 მ. 14 კ., შემოსატანი გარდასახადი 194 მ. 42 კ., სულ 4833 მ. 56 კ.

ყარაევი, ნიკოლოზ ანდრიას ძე: სახნავი, საძოვარი, სასახლკარე და საბაღე ადგილები, შენობები, მიწა ზომით 134 დესეტინა და 810 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნია-